წარსული ნააზრევი

რაჟდენ არსენიძე. საბჭოთა პარლამენტი

კარგი ქნეს, რომ საქართველოს საბჭოს პარლამენტი არ უწოდეს, რომ მას ისევ საბჭო ჰქვიან, თუნდაც უმაღლესი საბჭო. არსებითად კი იგი არც უმაღლესია, არც უმდაბლესი: იგი არის მხოლოდ უბრალო დეკორაცია სტალინის ბიუროკრატიული აპარატის.

რას წარმოადგენს ეს დეკორაცია? აქვს მას რაიმე მნიშვნელობა?

პოლიტიკურად - არავითარი, იგი არც არის პოლიტიკური წარმომადგენლობა რაიმე საზოგადოებრივი ინტერესების და მოთხოვნილების. მას არც აქვს ნება და არც არავინ ეკითხება ქვეყნის მართვას. მის პირველ სესიას ვინც დააკვირდება, ადვილად შეამჩნევს, რომ შეიკრიბენ არა ხალხის წარმომადგენლები ხალხის ჭირვარამზე მოსალაპარაკებლად და მისი ავ-კარგის გასარკვევად, არამედ თავი მოიყარეს წვრილ-ფეხა აქციონერებმა, რომელთაც იციან, რომ აქციების უმრავლესობა დირექტორების ხელშია და მათ თვალში შეყურებენ თავის დივიდენდების გასანაღდებლად.

ასეთი გრძნობით გამსჭვალული 237 ადამიანი მოვიდა თბილისის სასახლეში და აირჩია ისევ ძველი დირექცია, შეაქო თავის მომავლინებელნი - სტალინი - ბერია, და დივიდენდ-მიღებული (500 მანეთი თვიურად), კმაყოფილი დაბრუნდა თავის სახლში.

პოლიტიკაზე ლაპარაკი - რა სათქმელია! ეს სტალინის უდავო პრივილეგიაა. ეკონომიკაზე მსჯელობა რა საკადრისია! ეს კომისართა საბჭოს ე. ი. დირექციის სრული უფლებაა. ეს უკანასკნელი ქმნის გეგმებს და იძლევა განკარგულებებს.

ამ გეგმის ასრულებისათვის იღწვის და ფუსფუსებს მთელი საბჭოთა ბიუროკრატია, ამაზე მსჯელობს და ბრძანებლობს კომპარტია, თანახმად სტალინისა.

მაშ რაღა დარჩენიათ, უკაცრავად პასუხია, საბჭოთა დეპუტატებს?

- არაფერი, სრულიად არაფერი. ხალხის უფლებებზე ხომ არ გნებავთ, რომ თავი შეიწუხონ?

საბჭოთა სახელმწიფო პირველ ყოვლისა ეკონომიური სახელმწიფოა; იგი მესაკუთრეა მთელი წარმოების, მიწის, მამულის; იგი მონოპოლიური გამგე და მომწესრიგებელია მთელი ეკონომიური ცხოვრების; ამიტომ ნორმალური იქნებოდა, რომ მეურნეობის საკითხები მაინც გამხდარიყო საგანი „ხალხის რჩეულთა“ სჯა-ბაასის, რომ ამ უკანასკნელთ გაერკვიათ თავის სხდომებზე წარმოების მდგომარეობა და შრომის პირობები, დაეცვათ ხალხის ინტერესები, ცდილიყვნენ ბიუროკრატიული აპარატის ერთგვარად კალაპოტში ჩაყენებას, თვითნებობისათვის საზღვარის დადებას.

თითქოს იგი ამისათვის იყო შექმნილი და მოწვეული, მაგრამ პირველი სესია დამთავრდა და ამის მსგავსი რამ მათგან არ მოგვისმენია. ამ პატივცემულ „რჩეულთ“ არც კი გახსენებიათ, რომ ისინი დღეიდან კანონმდებელნი არიან და წყარო ყოველგვარი უფლების. მოვიდნენ და წავიდნენ გამაბრუებელი ქება-ტაშით, როგორც მომადლიერებული აქციონერები.

ბუნებრივია ვიკითხოთ, ვინ არიან, საიდან მოვიდენ ამ ახირებული კრებულის წევრები? ან რის მაქნისია მათი არჩევნები?

ეს არც მთლად უბრალო საკითხია.

დეპუტატთა უმრავლესობა გლეხობიდან და მუშათა კლასიდან არის გამოსული და ერთი შეხედვით, მათი ინტერესების გამომხატველი და დამცველი უნდა იყონ, ნამდვილად კი მათ ხალხი და მასზე ზრუნვა არც კი გახსენებიათ. რად მოხდა ასე?

დავაკვირდეთ ცოტა უფრო ახლო მათ სოციალურ ბუნებას და შევამჩნევთ, რომ აქ სრულიად ახალ სოციალურ მოვლენასთან გვაქვს საქმე.

პირველად ყოვლისა თვალში გეცემათ ის გარემოება, რ ეს „არჩეულები“ ეგრედ წოდებულ „წარჩინებულთა“ წრეს ეკუთვნიან. ეს

„წარჩინებულნი“ კი სწორედ ის ხალხია, ვინც საბჭოთა რეჟიმს გემო გაუცნო, ალღო აუღო, მასში პირადი კეთილდღეობის წყარო გამოძებნა და ხელისუფლების გაშლილ სუფრაზე მადიანად გარშემოსხდომას ეპირება. მოუსმინეთ მათ საარჩევნო სიტყვებს და გაკვირდებით. მათ არ გააჩნიათ არც პოლიტიკური პროგრამა, არც ეკონომიური, მათ არა აქვთ რაიმე სამოქმედო გეგმა საზოგადოებრივი ხასიათის. სამაგიეროდ მათ კარგად იციან თავისი პირადი ცხოვრების მოწყობა. სიღარიბიდან გამოსულან, კეთილდღეობაში შეუდგამთ ფეხი, რასაკვირველია, სტალინის წყალობით და თავისი კლასის ინტერესების ფეხქვეშ გათელვით. ესენია სტახანოველები, ქარხნის დირექტორები, პარტიული მდივნები, კოლხოზთა ხელმძღვანელები. ერთი სიტყვით, ახალი რეჟიმით აღზევებულნი და გადიდკაცებულნი. ესენია, ვინც სტალინის დიქტატურის პირობებით მოხდენილათ სარგებლობს, რომ თავის მომმეთ გამოეყოს, მათზე ამაღლდეს და დიქტატურას ზურგი გაუმაგროს.

ისინი არც მალავენ ამას. ცინიკური გულახდილობით მოუთხრობენ თავის დამშეულ ამრჩევლებს, რომ ისინი უკვე გამძღარი არიან, ბედნიერ და საამურ ცხოვრებას ეზიარენ, კარგი სახლ-კარი გაიშენეს, პიანინო შეიძინეს, რადიო დაიდგეს და ამისათვის ამრჩეველთაგან მოწონებას და ნდობას მოელიან...

თავის წარმოშობას ისინი იმისათვის კი არ იხსენიებენ, რომ მშობელ კლასს მიემხრონ, არამედ იმისთვის, რომ თვალი აუბან, მეც შენი ვარო, უთხრან და ბატონობის მათრახი გადაუჭირონ, ისინი არ უპირდაპირდებიან, როგორც პლებსის შვილები, სხვა მაღალი წოდების თუ კლასის წარმომადგენელთ. ეს უკანასკნელნი დიდი ხანია გაქრენ საბჭოთა სინამდვილეში.

ეს „წარჩინებულნი“ მოდიან მათი დაცალიერებული ადგილის დასაჭერად, ზედა ფენის შესაქმნელად, საზოგადოების მაღალ საფეხურზე მოსაკალათებლად. ამის გზად და ხიდად აურჩევიათ სტალინისადმი უსაზღვრო მორჩილება, ყოველი მისი ბრძანების და განკარგულების თავქუდმოგლეჯით ასრულება. და რადგან ეს გან-

კარგულება - ხალხის უუფლებობის და ექსპლოატაციის გაძლიერებაზეა დამყარებული, ესენიც ამ უუფლებობას და ექსპლოატაციას ამაგრებენ.

მართლაც ისინი ქმნიან შრომის ახალ ნორმებს ამა თუ იმ დარგში სტახანოველობის გზით, რომ შემდეგ თვით ხელმძღვანელობაში ამოჰყონ თავი, ხოლო თავის ყოფილ მოძმეთ დაუტოვონ მძიმე მემკვიდრეობა გაძლიერებული სამუშაო ნორმების და სისხლის გამომწოვ ტარიფების. ესენი მოითხოვენ შრომის მეტი ნაყოფიერების მიღწევას, ქარხანაში რაციონალიზაციის შემოღებას, საქონლის იაფად დამზადებას და სახელმწიფოსათვის იაფად ჩაბარებას. ესე იგი ხალხისგან, რაც შეიძლება მეტი მსხვერპლის გაღებას სახელმწიფოსა და მისი ბიუროკრატიის სასარგებლოდ. ჯილდოთ იღებენ ამ ბიუროკრატიაში წევრად შესვლის უფლებას. ესე იგი, ხალხის ნაძარცვში წილის დადებას, მთელი საარჩევნო კამპანია და ყოფაქცევა საბჭოთა დეპუტატების ამის საუკეთესო მაჩვენებელია.

როცა ამრჩევლებთან დეპუტატობის მანდატის მისაღებად მიდიოდენ, ეს ახირებული კანდიდატები მათ სწორედ იმას აქადნიდენ: ხომ ხედავთ, ჩვენ ღარიბი დედ-მამის შვილი ვიყავით, მაგრამ ვიერთგულეთ, სტახანოველობა გამოვიჩინეთ და ახლა დეპუტატადაც წარგვადგინესო. და ყოველივე ამას უმადლიან არა ხალხს, არამედ „მშობლიურ სტალინს“.

ასეთი გულახდილი და უსირცხვილო გამოხატვა ხალხიდან გამოხტომისა და მის გაჭირვებაზე შექმნილი პირადი ბედნიერებით ტრაბახობისა - საუკეთესო დამახასიათებელია სპეციფიური საბჭოთა მორალის. ამის მსგავსი ჩვენ ჯერ არსად შეგვხვედრია, არც ამოგვიკვითხავს.

ასეთ მორალში აღზრდილი და გაწაფული სტალინის „ვაჟკაცები“ ხალხს, რასაკვირველია, არ დაინდობენ. არ ინდობენ ერთი მეორესაც, მაღლა აცოცების და პირადი განდიდების სურვილი მათში ფარავს ყველაფერს. ისინი მზად არიან დღეს სათაყვანებელი გმირი - ხვალ ტალახში ამოსვარონ, გუშინდელი ბატონი - დღეს

ქვეყნის მტრად გამოაცხადონ; მათ აქვთ სოლიდარობა ხალხის დასაჩაგრავად, მაგრამ მგლებივით სჭამენ ერთმანეთს უკეთეს ადგილებზე მოსაკალათებლად. „მე“ მათში ფარავს მორალს, პატიოსნებას, ადამიანურ ღირსებას.

ტერორი ხალხის წინააღმდეგ - ტერორი ერთმანეთის საჭლეტად, - ასეთია მათი პოლიტიკის მთავარი მცნება.

უმრავლესობა მათგანი კომუნისტებია, სიტყვითა და მანდატით, უმცირესობა უპარტიო ბოლშევიკი, კომუნისტურად მომქმედი, მაგრამ ჯერ პარტიაში არ მიღებული.

პატიოსანი ადამიანი - ქვეყნის გულშემატკივარი - მათში სანთლით საძებარია. ის კუთხეშია მიგდებული, უკან ჩამოყენებული და განადგურების შიშის ქვეშ გაყუჩებული; ამიტომ ანგარიშში მისაღები არ არის.

უმაღლეს საბჭოში არჩეული დეპუტატებიდან 75,5% კომუნისტია, 24,5% უპარტიო; ყველა პროფესიიდან გამოკრეფილი, ყველა წრიდან მოგროვილი, რადგან ტკბილი ცხოვრების მაძიებელი ყველგან მოიპოვება.

აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ მთელი ეს ხროვა „წარმომადგენლების“ არის ნამდვილად წარმომადგენელი ახლად გამოჩეკილი მაღალი ფენის, ზედა წრის, გაბატონებული სოციალური ფორმაციის, რომელიც სახელმწიფო აპარატში შედის, როგორც დანარჩენი უუფლებო მასის ბატონი და მბრძანებელი.

ერთი კიდევ დამახასიათებელი თვისება ამ დეპუტატების არის ის, რომ იგინი შერჩეულია სულ ახალი თაობის რიგებიდან, რომელნიც მოსკოვის ბატონობის ხანაში აღიზარდენ, რომელთაც არც რევოლუციისთვის უშრომიათ, არც დამოუკიდებლობის წლები განუცდიათ, მათ არ იციან ფასი მათი მადლისა და ღირსების. ხალხის სამსახურში თავი არ შეუწუხებიათ, მაგრამ წარსულ ბრძოლათა ნაყოფით სარგებლობა თავის მოვალეობათ მიაჩნიათ. ერთი სიტყვით, წმინდა „პროფიტორებია“, დროით მოსარგებლენი, მომკელნი იქ,

სადაც არ უთესიათ, უფროსის წინ ქედმოხრილნი, უმცროსთან უდიერნი, მეგობრობის არ მცოდნენი, ამხანაგთან გაუტანელნი.

მხოლოდ ასეთი ხალხი შეეგუება ულმობელ დიქტატურის რეჟიმს და ასეთი ხალხი გადის ანუ გაჰყავთ საბჭოთა დეპუტატებად.

გასაგებია, რომ საბჭოთა დეპუტატობა, ისე, როგორც ყოველივე წინწაწევა სტალინის სამეფოში, იქცევა ბიუროკრატობად, რჩეულთა წარმატების ერთ-ერთ საშუალებად, ხოლო თვით უმაღლესი საბჭო ჩინოვნიკურ დაწესებულებად. პარლამენტი მოკვდა; დემოკრატიზმი გაჰქრა და ამით პოლიტიკური ჰაერის ერთი შესაძლებელი სარკმელი კიდევ დაეხშო ხალხის ფართო მასას.

მას შერჩა მხოლოდ სიღარიბე, შრომა და მორჩილება.

ამრიგად, არჩევნების და „დეპუტატობიას“ გათამაშებამ ერთხელ კიდევ გამოააშკარავა, რომ საბჭოთა სინამდვილეში დაიბადა და საკმაოდ მკაფიოდ ჩამოყალიბდა ორი კლასი, ორი სოციალური ჯგუფი; უმცირესობა ზევით ამოცურდა, რევოლუციის მონაპოვარი გააუქმა, ან თავისთვის მიისაკუთრა, კეთილი ცხოვრების სიამეს შეეჩვია, მმართველთა წოდებად იქცა. უმრავლესობას კი ყოველივე დაეკარგა, რევოლუციისაგან მოტანილი სიკეთე ხელიდან გამოეცალა, თავისუფლება დაეხშო, უფლება აეყარა და ისევ დამონებულ მდგომარეობაში ჩავარდა. ამათ შორის გაჩაღებულია ახალი დავა, ახალი ბრძოლა სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობისათვის. თავისუფლება აზრის და შემოქმედების, ადამიანის ღირსება, პიროვნების პატივისცემა, ერის უფლების ხელშეუხებლობა, ბოლოს ადამიანური ცხოვრების ელემენტარული პირობები კვლავ იქცა ამ ბრძოლის მთავარ საგნად.

ხალხი ახლა არც ისე ბრიყვია, მით უმეტეს რევოლუცია გამოვლილი, რომ ადვილი თვალ-ასახვევი იყოს. ძველი ბიუროკრატიული აპარატი თავისი ტერორით მას პირს უკრავს. მაგრამ გზას ვერ უბნევს. ამიტომ საჭირო გახდა შექმნა ახალი აპარატის, არჩე-

ულის, ევროპულ ყაიდაზე გამოჭრილის; ამან უნდა განაახლოს ნდობა.

მაგრამ შეუძლია კი მას ამ მისიის შესრულება?

დიქტატურას თვით შეეშინდა თავის შემოღებული არჩევნების, მისთვის მართლა თავისუფალი ხალხური ხასიათის მიცემის. მან არჩევნები გამოშიგნა. ყოველი სოციალური და პოლიტიკური შინაარსი ამოართვა. ამიტომ დასახული მიზანი ხალხის დაშოშმინების შეუსრულებელი დარჩა. ტერორით, დაშინებით აარჩევინეს ხალხს თავისი კაცები, აარჩევინეს ერთხმად, ერთსულოვნად, უდავოდ, უკამათოდ. რაც ნიშნავს არსებითად ერთსულოვან უნდობლობას; სტალინი ვერ ენდო ხალხს, ხოლო ხალხი სტალინის კონსტიტუციის გარანტიებს. კომედია გათამაშდა, მაგრამ წინააღმდეგობა რჩება. ბრძოლა გრძელდება.

და ის უნდა დამთავრდეს, არ შეიძლება არ დამთავრდეს ერთად-ერთი გზით: დიქტატურის ამოვარდნით, საზოგადოების უფლების აღდგენით, პიროვნების განთავისუფლებით, ერთა თვითგამორკვევის განხორციელებით ე. ი. დღევანდელი რეჟიმის სრული წინააღმდეგობით.

„სოციალისტური აზრი“, პარიზი, 1938 N9, გვ.10-11.